მიგრაციის სტრატეგიის 2013-2015 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლასა და ინსტიტუციონალური მექანიზმების ჩამოყალიბებაზე. სამინისტრო ასევე აქტიურად მონაწილეობდა უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს ახალი კანონის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. ახალი კანონის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის ნაგვისტოს #588 ბრძანებით შეიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია გამოავლინოს და გააძევოს საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფი უცხოელები. დეპარტამენტმა ოფიციალურად ფუნქციონირება 2014 წლის 1 სექტემბრიდან დაიწყო. კანონის მიხედვით დეპარტამენტის ფუნქციებია: საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფი უცხოელების გამოვლენა და იდენტიფიკაცია, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მცხოვრები უცხოელების გაძევების უზრუნველყოფა კანონის შესაბამისად, რეადმისიის ხელშეკრულების განხორციელება საქართველოში, დროებითი დაკავების ცენტრის მართვა და ნებისმიერი სხვა ფუნქცია, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეპარტამენტის მიერ მოვალეობის შესრულებისას.

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

კონტაქტი

ქ-ნი ვიოლეტა ვაგნერი, ICMPD, პროექტის მენეჯერი,
violeta.wagner@icmpd.org

ბ-ნი ზურაბ ყორღანაშვილი, ICMPD, პროექტის მენეჯერი
zurab.korganashvili@icmpd.org

www.enigma.ge
www.icmpd.org

მარჯანიშვილის ქ. #6, 1 სართული, 0102, თბილისი, საქართველო

გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი მოსაზრებები და კომენტარები ქ-ნ ნათია მეჩითიშვილთან ელექტრონული ფოსტის მისამართზე natia.mechitishvili@icmpd.org ან enigma@icmpd.org.

დამატებითი ინფორმაცია პროექტის, მისი ღონისძიებებისა და მიღწევების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ პროექტის ვებ გვერდზე. დამატებით, პროექტის გუნდი რეგულარულად დადებს ინფორმაციას საქართველოში მიგრაციის სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ასევე მიმოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორცაა შრომითი მიგრაცია, დიასპორის პოლიტიკა, სავიზო და საკონსულლო საქმეთა პოლიტიკა, ადამიანის უფლებები, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, და სხვა.

ეწვიეთ ჩვენს ვებ გვერდს: <http://www.enigma.ge/>



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



აქ წარმოდგენილი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირის მოსაზრებებს

მიღწეული შედეგები და ორივე ორგანიზაციის მიერ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან მოწვეული ექსპერტების რეკომენდაციები წარმოადგინეს.

ფოტოხელოვნების კურსი პროექტ ENIGMMA-ს ფოტო-კონკურსის გამარჯვებულთათვის

ENIGMMA-ს 2014 წლის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ორგანიზებული ფოტო-კონკურსის სამი გამარჯვებული გაივლის ფოტოხელოვნების კურსს, რომელსაც ცნობილი ქართველი ფოტოგრაფი ბ-ნი გურამ წიბახაშვილი ატარებს. ბ-ნი გურამი მონაწილეობდა რამდენიმე საერთაშორისო გამოფენაში, მათ შორის თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში სალონიკში და შვედეთის საგამოფენო სივრცეში (Lunds Konstahall). კურსი 2015 წლის 3 თებერვალს დაიწყო და 4 თვის განმავლობაში გაგრძელდება.

მიგრაციის გზამკვლევი

ENIGMMA-მ ხელი შეუწყო საქართველოში კანონიერი მიგრაციის შესახებ გზამკვლევის შექმნას მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის (სამთავრობო კომისია) 2013-2014 წლების საინფორმაციო კამპანიების „კანონიერი მიგრაცია - საუკეთესო არჩევანი“ კონცეფციის ფარგლებში, რისთვისაც გზამკვლევის გარკვეული თავების დაწერაში სამთავრობო კომისიის სამდივნოსთან არსებული საპილოტე ანალიტიკური განყოფილება ჩაერთო. გზამკვლევი წარმოადგენს ერთიან კრებულს პოტენციური თუ არსებული იმიგრანტებისა და ემიგრანტებისათვის, ასევე მიგრაციით დაინტერესებულ სხვა პირთათვის. მასში მოცემული ინფორმაცია მოიცავს, როგორც კანონიერი მიგრაციის შესაძლებლობებს, ასევე უკანონო მიგრაციასთან დაკავშირებულ საფრთხეებსა და რისკებს. შესაბამისად, მიგრანტების მიერ საჭირო ინფორმაციის ცოდნა დადებით გავლენას იქონიებს მიგრაციის დინამიკაზე. დოკუმენტი იმგვარად არის აგებული, რომ მიგრანტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს გაუიოლდეთ კანონიერი მიგრაციის შესახებ რეგულაციების გაგება და შესაბამისი სერვისების შესახებ საჭირო ინფორმაციის მოძიება. დოკუმენტის ფართოდ გამოყენების უზრუნველსაყოფად გზამკვლევი ითარგმნა ინგლისურ ენაზე პროექტ ENIGMMA-ს ფარგლებში და მალე გამოიცემა.

საბაზისო კვლევის ანგარიში მიგრაციის მართვის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ

ICMPD-თვის წარდგენილი კვარტალური ანგარიში ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის (IRC) მიერ მომზადდა და მოიცავს იმ მიღწევებს, რაც „საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საბაზისო კვლევის“ დაწყების შემდეგ იქნა მიღწეული. ანგარიში მოიცავს პერიოდს 2014 წლის აგვისტოდან-ოქტომბრამდე და განიხილავს ინფორმაციას გადადგმული ნაბიჯების, არსებული პრობლემებისა და მომდევნო კვარტალში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში იდენტიფიცირებული იყო მნიშვნელოვანი პროცესები მიგრაციის მართვის სფეროში და ამ პროცესებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო დაწესებულებები. ძირითადი სახელმწიფო დაწესებულებებია: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი, შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. შედეგად შეიქმნა კვლევითი პროექტის ფარგლებში შესასწავლი პროცესების და საკანონმდებლო/პროცედურული გზამკვლევები. საკანონმდებლო ბაზის ანალიზთან და პროცედურულ მიმდინარეობასთან დაკავშირებით პირისპირი ინტერვიუები ჩატარდა შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, რომლებიც პროცედურულ დონეზე ყოველდღიურად მუშაობენ აღნიშნულ საკითხებზე. ამასთან, სახელმწიფო დაწესებულებებს დაურიგდათ

ყოველსმომცველი კითხვარები მონაცემთა დაცვის კუთხით თითოეული დაწესებულების პროცედურული გზამკვლევების შესწავლისა და ანალიზის მიზნით. კითხვარი IRC-ის მიერ მონაცემთა დაცვის საკითხებში გერმანიის ექსპერტთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა.

ამ ეტაპზე IRC მიღებული მონაცემების ანალიზის ეტაპზეა. მთლიანი კვლევის განხორციელებას ზედამხედველობას უწევს ICMPD/ENIGMMA გუნდი, შესაბამისად შერჩეული ევროკავშირის წევრი ქვეყნის ექსპერტი ავსტრიიდან და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი საქართველოში. კვლევის შედეგები ხელმისაწვდომი 2015 წლის მარტში გახდება, ხოლო 2015 წლის მაისში საბოლოო ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართება.

დამატებითი ინფორმაცია ENIGMMA-ს აქტივობების შესახებ იხილეთ ვებ-გვერდზე: www.enigmma.ge

დაგეგმილი აქტივობები

კანონიერი მიგრაციის შესახებ სასწავლო ვიზიტი ჰოლანდიაში

მარტში, პროექტ ENIGMMA-ს ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ ჰოლანდიაში დაგეგმილ სასწავლო ვიზიტში შენგენის/ევროკავშირის სავიზო პოლიტიკისა და ქვეყანაში დროებით ან მუდმივად კანონიერი ცხოვრების შესახებ პრაქტიკის გაზიარების მიზნით. მისიის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლებს უმასპინძლებს მოლდოვის საელჩო ჰოლანდიაში ელექტრონული ვიზის დანერგვის თაობაზე წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიზნით.

პროექტის სამეთვალყურეო ჯგუფის რიგით მეოთხე შეხვედრა

2015 წლის 18 მარტს ICMPD-სა და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს ერთობლივი ორგანიზებით სამეთვალყურეო საბჭოს მეოთხე შეხვედრა გაიმართება. შეხვედრა შედგება ქ. თბილისში იუსტიციის სახლში, და მას დაესწრებიან ICMPD-ის, IOM-ის, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს პარტნიორი სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ჩართულნი არიან საქართველოში მიგრაციასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. ღონისძიების მიზანია 2014 წლის დეკემბრიდან 2015 წლის თებერვლამდე განხორციელებული ღონისძიებების განხილვა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში პროგრამის „მეტი მეტისათვის“ ფარგლებში, რომელიც საქართველოში ICMPD-ის და IOM-ის მიერ ხორციელდება.

მიგრაციის მონაცემთა მართვა - სასწავლო ვიზიტი ესტონეთსა და ავსტრიაში

2015 წლის თებერვალსა და მარტში ICMPD და IOM ერთობლივად გაუწევენ ორგანიზებას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ესტონეთსა და ავსტრიაში, საქართველოს იმ სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტებს, რომლებიც მიგრაციის მონაცემთა მართვაზე მუშაობენ. სასწავლო ვიზიტები შესაძლებლობას მისცემს ქართველ პარტნიორებს, გაეცნონ მიგრაციის მონაცემთა დამუშავების არსებულ სისტემებს, მართვას და ანალიზს ზემოთ ხსენებულ ქვეყნებში. ეს დაეხმარება ქართველ კოლეგებს, შეიმუშაონ მიგრაციის მონაცემთა მართვის უნიფიცირებული სისტემის მოდელი, რომელიც საქართველოში უნდა დაინერგოს. ICMPD კვლავაც გაუწევს მხარდაჭერას მონაცემთა მართვის ანალიტიკურ სამუშაო ჯგუფს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან ექსპერტების ჩართვის გზით.



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



რომელიც ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორმა იან რათმა წაიკითხა იუსტიციის სახლში. პროფესორ რათის ლექცია შეეხო სახელმწიფოების იმიგრაციის ქვეყნებად მოაზრების საკითხს. ლექციაზე, ასევე, ყურადღება გამახვილდა იმიგრაციისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე რაც ხშირად ემთხვევა ამ ფენომენის შესახებ აკადემიური კვლევების ზრდას, რასაც თან ახლავს (როგორც ხშირად მას უწოდებენ) მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შექმნის საჭიროება.

ლექციები მიგრაციის თემაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

2014 წლის 18 და 19 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტ ENIGMMA-მ მიგრაციის თემაზე ლექციათა კურსი მოაწყო. ლექცია ამსტერდამის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის პროფესორმა იან რათმა წაიკითხა, რომელმაც ის ორ ნაწილად დაჰყო:

- საერთაშორისო მიგრაცია
- იმიგრანტების ინტეგრაცია

ლექციაზე მსმენელებმა მოისმინეს საერთაშორისო მიგრაციის ზოგადი შესავალი კურსი და სხვადასხვა მნიშვნელოვან თემებზე თეორიული და ემპირიული პერსპექტივები. ლექციაზე პირველ რიგში მიგრანტის და საერთაშორისო მიგრაციის ცნებები განისაზღვრა. შემდეგ საერთაშორისო მიგრაციული დინების შესახებ სტატისტიკური მტკიცებულება და მიგრაციის ზოგადი ცნებები იყო განხილული. პროფესორმა ისაუბრა მიგრაციის სხვადასხვა ტიპებზე და განიხილა მათი მასშტაბი, გამომწვევი მიზეზები, მიმართულებები და ხასიათი. ბოლოს მსმენელებმა საერთაშორისო მიგრაციის ზოგიერთი თეორიის მოკლე აღწერილობა მოისმინეს.



ლექცია იმიგრანტთა ინტეგრაციაზე შეეხო საკითხს, თუ როგორ შეცვალა ადამიანთა მობილობამ ახალ ტექნოლოგიებთან და მზარდ სიმდიდრესთან კომბინაციაში საზოგადოების სახე. ლექცია შეეხო იმიგრანტთა ინტეგრაციის შესახებ სწავლებებს ისტორიული, ემპირიული და თეორიული პერსპექტივით. სხვადასხვა მაგალითების და იმიგრანტთა ინტეგრაციის შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვანი თეორიული მოსაზრების განხილვის გარდა, ლექციაზე პროფესორმა განმარტა ინტეგრაციის მიმართულებები სხვადასხვა სფეროებში, პოლიტიკის საკითხებსა და ნორმატიულ განზომილებაში.

ლექცია იმიგრანტთა ინტეგრაციაზე შეეხო საკითხს, თუ როგორ შეცვალა ადამიანთა მობილობამ ახალ ტექნოლოგიებთან და მზარდ სიმდიდრესთან კომბინაციაში საზოგადოების სახე. ლექცია შეეხო იმიგრანტთა ინტეგრაციის შესახებ სწავლებებს ისტორიული, ემპირიული და თეორიული პერსპექტივით. სხვადასხვა მაგალითების და იმიგრანტთა ინტეგრაციის შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვანი თეორიული მოსაზრების განხილვის გარდა, ლექციაზე პროფესორმა განმარტა ინტეგრაციის მიმართულებები სხვადასხვა სფეროებში, პოლიტიკის საკითხებსა და ნორმატიულ განზომილებაში.

კონფერენცია საავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესახებ



2014 წლის 10 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ პროექტ ENIGMMA-ს მხარდაჭერით გამართა კონფერენცია ევროკავშირ-საქართველოს საავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ.

კონფერენცია საქართველოში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საელჩოების წარმომადგენლებისთვის იყო განკუთვნილი, სადაც მათ სამინისტროში გატარებული რეფორმები გააცნეს, მათ შორის მიგრაციის დეპარტამენტის მიერ განსაზღვრულ სფეროებში, ასევე ისეთ საკითხებში როგორიცაა ტრეფიკინგი, პოლიციის სექტორში პერსონალური მონაცემების დაცვა და სამართალდამცავთა საერთაშორისო თანამშრომლობა. ღონისძიებაზე ასევე ხაზი გაესვა ევროკავშირ-საქართველოს საავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის

სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მიგრაციის კუთხით პროექტ ENIGMMA-ს მიერ გაწეულ მხარდაჭერას.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ექსპერტთა მისია საქართველოში

2014 წლის 27-28 ნოემბერს განხორციელდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან სავიზო საკითხების სფეროში მომუშავე ექსპერტების მისია საქართველოში. მისიის მიზანი სავიზო პოლიტიკის იმპლემენტაციის კუთხით სტატუს ქვოს განხილვა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტისთვის სავიზო საკითხებში შემდგომი მხარდაჭერის დაგეგმვა იყო. მისიის განმავლობაში ექსპერტებმა საკონსულო დეპარტამენტს ვიზებთან დაკავშირებულ საკითხებზე დახმარება გაუწიეს. სავიზო სახელმძღვანელოს მომზადება დასახელდა, როგორც საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირთა მიერ მოვალეობის ჯეროვნად შესრულების მნიშვნელოვანი მექანიზმი, უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ახალი კანონის შესაბამისად. სავიზო სახელმძღვანელო სავიზო განაცხადის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი საკონსულო სამსახურების და ცენტრალური სტრუქტურული ქვედანაყოფის სამოქმედო ინსტრუქცია იქნება.

გარდა ამისა, 2014 წლის 28 ნოემბერს გაიმართა შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპასთან ინტეგრაციის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. აღნიშნულ შეხვედრას ექსპერტები და პროექტის გუნდი ესწრებოდა. ორივე მხარემ ხაზი გაუსვა წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობისა და ევროკავშირის ექსპერტების ჩართულობის მნიშვნელობას VLAP-ის ყველა მიმართულებაში.

პროექტის სამეთვალყურეო ჯგუფის რიგით მესამე შეხვედრა

2014 წლის 28 ნოემბერს ქ. თბილისში, იუსტიციის სახლში პროექტის სამეთვალყურეო ჯგუფის მესამე შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის (SCMI) სამდივნოს მიერ ერთობლივად დაიგეგმა. შეხვედრაზე შეიკრიბნენ საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, ICMPD-ის, IOM-ის, SCMI-ის, სახელმწიფო დაწესებულებების და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც ჩართულნი არიან საქართველოში მიგრაციასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. შეხვედრას, ასევე, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საელჩოების წარმომადგენლები და ექსპერტები ესწრებოდნენ.



შეხვედრის განმავლობაში ICMPD-ის და IOM-ის მიერ 2014 წლის ივნისიდან ნოემბრამდე განხორციელებული ღონისძიებების ანგარიშები წარმოადგინეს. ამგვარად, ICMPD-ის წარმომადგენლებმა განიხილეს დასრულებული და დაგეგმილი აქტივობები შემდეგი მიმართულებით: სავიზო პოლიტიკა, დიასპორის პოლიტიკა, ადამიანის უფლებები, პერსონალური მონაცემების დაცვა, კვლევა და თანამშრომლობა აკადემიურ სექტორთან ან დაწესებულებებთან, საკანონმდებლო ჩარჩო და ცნობიერების ამაღლება. ICMPD-ის პროექტ ENIGMMA-ს ექსპერტმა ავსტრიიდან, ასევე წარმოადგინა სავიზო კომპონენტის შეფასება, რომელიც პროექტ ENIGMMA-ს ფარგლებში განხორციელდა.

განხორციელებული ღონისძიებების განხილვის შემდეგ, IOM-მა და ICMPD-მ მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ჩამოყალიბების შესახებ ერთობლივი კომპონენტის ფარგლებში



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



ითვალისწინებდა. ამასთან, საქართველოს დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლებს თავიანთი ღონისძიებების წარმოდგენის საშუალებაც მიეცათ. შეხვედრის ბოლოს მონაწილეებს გააცნეს და დაურიგეს პროექტ ERGEM-ის გზამკვლევი მიგრანტებისა და დიასპორის წარმომადგენლებისათვის საკონსულტაციო პროგრამის ორგანიზების შესახებ.

პროექტ ERGEM-ის გუნდს სურს, გამოიყენოს ეს შესაძლებლობა და მადლობა გადაუხადოს ყველა პარტნიორს და საკონტაქტო პირს პროექტის განხორციელების განმავლობაში თანამშრომლობისათვის. ჩვენთვის დიდი პატივი იყო მონაწილეობა მიგველო ამ ძალზედ მნიშვნელოვანი და ღირებული პროექტის განხორციელებაში.

პროექტ ENIGMMA-ს აქტივობები

მიგრაციის სახელმძღვანელოს შექმნის საკოორდინაციო შეხვედრა

2015 წლის 23 იანვარს თბილისის იუსტიციის სახლში მიგრაციის სახელმძღვანელოს ჩამოყალიბების საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა. მიგრაციის სახელმძღვანელოს სხვადასხვა თავების ავტორები მოწვეულნი იყვნენ, რათა წარმოედგინათ ზოგადი მონახაზი და გაეცვალათ ინფორმაცია შინაარსის შესახებ. შეხვედრა მიგრაციის საკითხებში სამთავრობო კომისიის სამდივნოს (SCMI) წარმომადგენელმა გიორგი ჯაშმა და პროექტ ENIGMMA-ს მენეჯერმა ვიოლეტა ვაგნერმა გახსნეს, რომლებმაც მიგრაციის სახელმძღვანელოს შექმნისა და ავტორთა შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი. თითოეული თავის მონახაზის წარდგენის შემდეგ, დაისახა თანამშრომლობის სტრატეგია და მოხდა სხვა პრაქტიკული საკითხების განხილვა. ავტორები შეთანხმდნენ, რომ შეხვედრა ძალიან სასარგებლო იყო მიგრაციის სახელმძღვანელოს შემუშავებისათვის.

მოლდოველი ექსპერტების ვიზიტი საქართველოში

2015 წლის 22-23 იანვარს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოლდოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორი ექსპერტი ეწვია, სადაც მათ ორ დღიანი შეხვედრა გამართეს VLAP-ის მეორე ფაზის ნიშნულების განხორციელებაში საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების მხარდასაჭერად. სესიის განმავლობაში განიხილეს ისეთი მიმართულებები, როგორიც არის თავშესაფრის და მოქალაქეობის არქონა, უკანონო მიგრაცია, კორუფცია, ნარკოტიკული ნივთიერებები, ფულის გათეთრება, ადამიანთა ტრეფიკინგი, ორგანიზებული დანაშაული, ადამიანის უფლებათა სტრატეგია და პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის იმპლემენტაცია.

ზემოთ მოყვანილი ყველა მიმართულების შესახებ რეკომენდაციების და ზოგადი შეფასების მიცემის გარდა, მოლდოველი ექსპერტები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის განყოფილებას ესტუმრნენ, სადაც სიმულაციის შეფასება ჩაატარეს. პრეზენტაციის განმავლობაში განყოფილების მიღწევებსა და მიზნებს გაესვა ხაზი.

მოლდოველი ექსპერტების ვიზიტი საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სავიზო რეჟიმის შეფასების შესახებ ევროკავშირის მისიისათვის მზადების ეტაპზე.

შეხვედრა დიასპორის სამინისტროში

2015 წლის 22 იანვარს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანი საქართველოს მაღალი პროფილის დიასპორის წარმომადგენლების ჩართვის შესაძლებლობების განხილვა იყო. პროექტის გუნდმა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის

წარმომადგენლებთან ერთად დიასპორის ჩართვის სავარაუდო სფეროები წარმოადგინა, განიხილა და გაანალიზა. თებერვალში გაიმართება შემდგომი შეხვედრა კონკრეტული პროგრამული შემოთავაზების განსაზღვრისათვის.



დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა და პროექტ ENIGMMA-ს გუნდმა ხაზი გაუსვეს ამ მნიშვნელოვან თანამშრომლობას და განსაკუთრებით ქართული დიასპორის ჩართვის საჭიროებას.

შრომითი მიგრაციის შესახებ კანონპროექტის გადახედვა

პროექტ ENIGMMA-მ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ტექნიკური დახმარება გაუწია შრომითი მიგრაციის შესახებ კანონპროექტის შემუშავების პროცესში. ექსპერტებმა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან, რომელთაც მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ შრომითი მიგრაციის სფეროში, პროექტ ENIGMMA-ს ფარგლებში გადახედეს კანონპროექტს და თავიანთი კომენტარები და რეკომენდაციები წარმოადგინეს. ასევე დაგეგმილია შემდგომი დახმარება პროექტის მხრიდან, როგორც არის შრომითი მიგრაციის შესახებ სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ორგანიზება, შესაძლებლობების განვითარება, ჯანდაცვის სამინისტროსთვის ადგილზე დახმარების გაწევა და სხვა.

ღონისძიება გამეფების პროცედურებისა და ადამიანთა უფლებების შესახებ



2014 წლის 18-19 დეკემბერს, თბილისში, სასტუმრო ZP Palace-ში, გამეფების პროცედურების და ადამიანთა უფლებების შესახებ სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის და სახელმწიფო

სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობის და მიგრაციის სამსახურის წარმომადგენლები, ასევე ჰოლანდიელი ექსპერტები უსაფრთხოებისა და იუსტიციის სამინისტროს რეპატრაციისა და გამეფების სამსახურიდან), დალიტვის წითელი ჯვრის ორგანიზაციის წარმომადგენელი ლიტველი ექსპერტები დაესწრნენ.

ღონისძიების მიზანი გამეფების პროცედურებთან და დაბრუნებისას ადამიანთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით პოლიტიკური გამოცდილების გაცვლა და გაზიარება იყო. ტრენინგი ძალიან ინტერაქტიული იყო, მონაწილეები ჩაერთნენ დისკუსიაში და იმსჯელეს, რამაც ინფორმაციის/გამოცდილების უკეთ გაცვლას შეუწყო ხელი. ამ ეტაპზე, როდესაც გამეფების პროცედურები ჯერ კიდევ არ დაწყებულია საქართველოში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გაზიარება, ლიტვის და ჰოლანდიის მაგალითზე, ძალზედ სასარგებლო იყო ქართველი კოლეგებისთვის. მათ მიეცათ საშუალება, განეხილათ არა მხოლოდ თეორიული საკითხები და კანონი, არამედ ასევე არსებული საქმეები და სირთულეები, რასაც უცხოელი პარტნიორები ამ სფეროში მუშაობის დროს ყოველდღიურად აწყდებოდნენ.

ლექცია მიგრაციის საკითხებზე იუსტიციის სახლში

2014 წლის 18 დეკემბერს პროექტ ENIGMMA-მ ორგანიზება გაუწია ლექციას მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრებისთვის თემაზე „კვლევისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი მიგრაციის/ინტეგრაციის სფეროში“,



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



ინტერვიუ ბატონ დავით ბაქრაძესთან, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში

დასაწყისი იხილეთ პირველ გვერდზე

ENIGMMA: როგორ შეუწყობს ხელს ასოცირების დღის წესრიგი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების განხორციელებას?

ბ-ნი დავით ბაქრაძე: ასოცირების დღის წესრიგის სტრუქტურა ეფუძნება ასოცირების ხელშეკრულებას. დოკუმენტი თანამშრომლობის უფრო კონკრეტულ სფეროებზე ამახვილებს ყურადღებას და განსაზღვრავს ძირითად პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სავაჭრო პრიორიტეტებს, რომლებიც 2014-2016 წლებში ევროკავშირის დახმარებით უნდა შესრულდეს. ასოცირების სამ წლიანი დღის წესრიგი ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ხელშეწყობას ისახავს მიზნად, რაც ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებას და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას მოიაზრებს.

ENIGMMA: რა არის თანამშრომლობის ძირითადი პრიორიტეტები მიგრაციის სფეროში, რომლებსაც ასოცირების ხელშეკრულება და დღის წესრიგი ითვალისწინებს?

ბ-ნი დავით ბაქრაძე: ასოცირების დღის წესრიგი მიგრაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ევროკავშირის ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზასთან ჰარმონიზაციას ითვალისწინებს ისეთ სფეროებში, როგორც არის მიგრაცია, თავშესაფრის პოლიტიკა, საზღვრის ეფექტიანი მართვა, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ადამიანთა ტრეფიკინგი, ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება და უკანონო წამლების მიმოქცევა. ამასთან, საქართველო, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან ერთად, მიგრაციის საკითხების შესახებ ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით ერთობლივ, მუდმივ და აქტიურ საინფორმაციო კამპანიებს ატარებს.

ENIGMMA: რა არის მოსალოდნელი შემდგომში საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების განვითარების ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯისაგან?

ბ-ნი დავით ბაქრაძე: უნდა აღინიშნოს, რომ ასოცირების ხელშეკრულების ეფექტიან განხორციელებას პოზიტიური გავლენა ექნება საქართველოს ევროპული იდენტობის გაძლიერებაზე, ევროპასთან ინტეგრაციის პროცესისა და ჩვენი ევროპული პარტნიორების მხრიდან პოლიტიკური დახმარების შეუქცევადობაზე, მათ შორის საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის კუთხით. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულება (DCFTA) მნიშვნელოვნად გააძლიერებს ეკონომიკურ ურთიერთობებს, მოიზიდავს უცხოურ ინვესტიციებს, გამოიწვევს ეკონომიკურ ზრდას და ზოგადად ხელს შეუწყობს საქართველოს ევროპულ ეკონომიკურ ზონაში ინტეგრაციას. მეტიც, ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგის შემდგომ გაღრმავებას. ამას გარდა, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების სარგებელი ქვეყნის და მთლიანად რეგიონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე არის დამოკიდებული. ევროკავშირი საქართველოს უსაფრთხოების და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. იმედია, ევროკავშირის ჩართულობა საქართველო-რუსეთის კონფლიქტის მოგვარებაში კიდევ უფრო გაღრმავდება ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მანდატის გაძლიერებით. ასოცირების ხელშეკრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს ოკუპირებულ

ტერიტორიას, აფხაზეთს შორის სტრატეგიული ურთიერთობის ქრილში.

ამასთან, საქართველო ევროკავშირის პარტნიორია ევროპის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის კუთხით და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოებაში, მათ შორის ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობით.

ამ ეტაპზე ჩვენ აქტიურად ვემზადებით “აღმოსავლეთ პარტნიორობის” სამიტისათვის, რომელიც 2015 წლის მაისში, ქ. რიგაში გაიმართება. ვიმედოვნებთ, რომ ეს ისტორიული სამიტი იქნება, სადაც მივიღებთ ნათელ მესიჯს საქართველოს ევროკავშირში შესვლის პერსპექტივის შესახებ, ისევე როგორც სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელების პოზიტიურ შეფასებას.

ICMPD-ის ძირითადი საქმიანობა საქართველოსა და რეგიონში

საზღვრისმართვის ახალი პროექტი აზერბაიჯანსა და საქართველოში

ICMPD-მ გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით დაიწყო ახალი პროექტი მწვანე საზღვარზე კოორდინირებული მოქმედებების ჩატარებით აზერბაიჯანისა და საქართველოს სასაზღვრო სააგენტოების ოპერაციული შესაძლებლობების გაძლიერებისათვის, რომელსაც რეგიონის და ევროპის მთელ სამეზობლოს საერთო უსაფრთხოებაზე პოზიტიური გავლენა ექნება. უფრო კონკრეტულად, პროექტის მიზანია:

- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის და აზერბაიჯანის სასაზღვრო სამსახურის ინსტიტუციონალური განვითარების და შესაძლებლობების გაზრდა, მათ შორის კოორდინირებული და ერთობლივი სანქციების გატარების და ინფორმაციის სათანადოდ გაცვლის უნარების გაძლიერება;
- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის და აზერბაიჯანის სასაზღვრო სამსახურის ოპერაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება უკეთესი ინფრასტრუქტურის და თანამედროვე ტექნოლოგიების მიწოდებით.

პროექტი 2014 წლის ნოემბრიდან 2017 წლის სექტემბრამდე მოქმედებს.

ERGEM

დასკვნითი კონფერენცია



პროექტ ERGEM-ის დასკვნითი ღონისძიება, დიასპორის კონფერენცია, პროექტის ბოლო დღეს, 2014 წლის 17 დეკემბერს, ქ. თბილისში, საქართველოში გაიმართა. კონფერენციას პროექტის ყველა პარტნიორი დაესწრო: მთავრობის წარმომადგენლები,

დიასპორის წევრები და დაბრუნებული მიგრანტები, გამოცდილი ექსპერტი დიასპორის საკითხებში, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში.

კონფერენციის საბოლოო დღის წესრიგი პროექტის განმახორციელებელი ორი პარტნიორის, სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან პროექტის შედეგების მოკლე წარდგენას და დიასპორის წევრებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის შემდგომი თანამშრომლობის შესახებ დისკუსიის გამართვას



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



უწყებებს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში. ქართულ სტუდენტურ ჟურნალ „ლიბერტასთან“ ინტერვიუში მან მკითხველებს მოლდოვის გამოცდილება გაუზიარა.

რა ნაბიჯები გადადგა მოლდოვის რესპუბლიკამ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმიდან უვიზო რეჟიმით სარგებლობამდე?

ბ-ნი რადუ კუკოში: როგორც იცით, მოლდოვა-ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა ორი ფაზისაგან და ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი საკანონმდებლო, ხოლო მეორე - განხორციელების ფაზა იყო. ევროკავშირთან უვიზო რეჟიმით სარგებლობის მიღებამდე მოლდოვას მოუწია ყველა იმ მოთხოვნის განხორციელება, რაც VLAP-ის ორივე ფაზის ოთხივე ნაწილში შედიოდა.

ევროკავშირი-მოლდოვის VLAP-ის პირველი ფაზის განმავლობაში მოლდოვის მთავრობას ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირის სტანდარტებთან უნდა დაეახლოებინა, განსაკუთრებით სამგზავრო დოკუმენტების, მიგრაციის და საზღვრის მართვის, საჯარო წესრიგის და უსაფრთხოების, ადამიანის უფლებების და საგარეო ურთიერთობების კუთხით. მიღებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი კანონები, როგორიცაა კანონი სახელმწიფო საზღვრის შესახებ, კანონი სასაზღვრო პოლიციის შესახებ, კანონი უცხოელთა ინტეგრაციის შესახებ, სასამართლო სექტორის რეფორმის სტრატეგია, კანონი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, ადამიანთა უფლებების ეროვნული სამოქმედო გეგმა, ბოშა მოსახლეობის დახმარების 2011-2015 წლების სამოქმედო გეგმა და კანონი თანასწორობის შესახებ. შეიძლება ითქვას, VLAP-ის პირველი ფაზა არ არის ისეთი რთული, როგორც მეორე, თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამართალწარმოების პროცესში ზოგჯერ შეიძლება სირთულეებს წავაწყდეთ, როდესაც საქმე საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის აზრთა სხვადასხვაობას ეხება ან როცა სამოქალაქო საზოგადოებას კონკრეტულ საკითხზე სხვა მოსაზრება გააჩნია. აზრთა სხვადასხვაობა განსაკუთრებით მოსალოდნელია მაშინ, როცა კამათი მიდის ისეთ სენსიტიურ კანონმდებლობაზე, როგორიცაა სამართალდამცავების დემილიტარიზაცია ან ანტიდისკრიმინაციული კანონი. მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვის შემთხვევაში VLAP-ის პირველი ფაზის განხორციელება სწრაფად მოხდა, ინსტიტუციონალური უზუსტობების გადასალახად დაინტერესებულ მხარეებს შორის ხანგრძლივი კომუნიკაცია და კოორდინაცია გახდა საჭირო.

VLAP-ის მეორე ფაზის განმავლობაში, რომელსაც ასევე განხორციელების ფაზა ეწოდება, მოლდოვის რესპუბლიკამ პირველი ფაზის განმავლობაში მიღებული კანონმდებლობის პრაქტიკული თვალსაზრისით ეფექტური განხორციელება უზრუნველყო. ევროკავშირი-მოლდოვის VLAP-ის შესახებ ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია აღვნიშნო, რომ მეორე ფაზის განმავლობაში ორ მნიშვნელოვან საკითხზე ყურადღების გამახვილება გახდა საჭირო: პირველი სახელმწიფო სტრუქტურებს შორის გამართულ თანამშრომლობის ჩამოყალიბებასთან იყო დაკავშირებული. თუკი, წინათ თითოეული სტრუქტურა საქმეებს დამოუკიდებლად მართავდა, VLAP-ის დანერგვის შემდეგ, ინფორმაციის ყოველდღიურად გაცვლის მიზნით, სტრუქტურებს შორის თანამშრომლობა გახდა საჭირო. მეორე მნიშვნელოვანი ელემენტი იყო რეფორმების მდგრადობის უზრუნველყოფა, რაც ნიშნავს, რომ რეფორმებს სათანადოდ უნდა ემუშავათ დროთა განმავლობაში. მოლდოვის სახელმწიფო დაწესებულებებმა მეორე ფაზის ყველა ასპექტის დაკმაყოფილება შეძლეს და შესაბამისად ევროკავშირთან უვიზო რეჟიმით სარგებლობის უფლება მიიღეს.

2013 წლის 27 ნოემბერს, ევროკომისიამ მოლდოვის მოქალაქეებს შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის ნება დართო. მას შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა. რა სარგებელს იღებს მოლდოვის

რესპუბლიკა და საზოგადოება უვიზო რეჟიმით სარგებლობით?

ბ-ნი რადუ კუკოში: მიუხედავად იმისა, რომ ევროკომისიის შემოთავაზება 2013 წლის 27 ნოემბერს განხორციელდა, ბიომეტრული პასპორტების მფლობელმა მოლდოვის მოქალაქეებმა ევროკავშირში ვიზის გარეშე მგზავრობა მხოლოდ 2014 წლის 28 აპრილიდან შესძლეს. სარგებელი კი შემდეგნაირად შეიძლება იყოს კლასიფიცირებული: ადამიანებს შორის კავშირის ზრდა; ბიზნესის წარმოებისთვის ბარიერების მოხსნა; ცოდნის გაცვლა.

მოლდოვის შემთხვევაში, განსაკუთრებით გაიზარდა ადამიანებს შორის კავშირი. მოლდოვის სასაზღვრო სამსახურის მონაცემების მიხედვით, უვიზო რეჟიმით სარგებლობის პირველი 6 თვის განმავლობაში, ევროკავშირში ვიზის გარეშე 297,000 მეტი მოლდოველი გაემგზავრა. ეს კი მხოლოდ ის მოქალაქეები იყვნენ, რომლებიც მოლდოვიდან მგზავრობდნენ. თუ დავითვლით რუსეთში, უკრაინაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ მოლდოველებს, რომლებმაც ამ პერიოდში ევროკავშირში ვიზის გარეშე იმგზავრეს, ჯამი შეიძლება 300,000 მეტს შეადგენდეს.

ბიზნეს საზოგადოებისათვის მობილობა და მოქნილობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რადგანაც მოლდოვის ექსპორტის უმეტესი ნაწილი მიმართულია ევროკავშირზე და პროცენტი ყოველწლიურად იზრდება, მოლდოველი ბიზნესმენების მიერ ვიზის გარეშე მგზავრობის საჭიროება არსებობდა. მოლდოვა-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის ხელშეკრულების ძალაში შესვლა მოლდოვასა და ევროკავშირს შორის კავშირს კიდევ უფრო გააძლიერებს. ამგვარად, უვიზო რეჟიმით სარგებლობა ჩვენს ბიზნეს საზოგადოებას ცხოვრებას გაუმარტივებს.

ცოდნის გაცვლა ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან მოლდოვის მოქალაქეები, რომლებიც საზღვარგარეთ მგზავრობენ და ევროკავშირში მიღებული გამოცდილებით სარგებლობენ, შეძლებენ მიღებული ცოდნა მოლდოვაში გამოიყენონ და დანერგონ. ჰოლანდიიდან, სადაც ამჟამად დიპლომატიური მისიით ვიმყოფები, ურბანული სატრანსპორტო სისტემის ალტერნატიული გზების შესახებ, როგორიცაა ველოსიპედები, ბევრი რამე შეიძლება ვისწავლოთ. მაგალითად, ესტონეთიდან ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ინოვაციური მექანიზმებით სახელმწიფო სერვისების მიწოდების შესახებ შეიძლება მივიღოთ გამოცდილება. არსებობს ბევრი კარგი მაგალითი, რომელიც შეგვიძლია ვისწავლოთ და უვიზო რეჟიმით სარგებლობა ცოდნის კიდევ უფრო სწრაფად გამოყენების საშუალებას იძლევა.

რას ურჩევდით საქართველოს მთავრობას და საქართველოს მოქალაქეებს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით დასრულების და უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მისაღებად?

ბ-ნი რადუ კუკოში: ევროპული ინსტიტუტები და ხალხი ზოგადად მკაცრი, მაგრამ სამართლიანია. მართალია, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა რთული და მომთხოვნი პროცესია, მაგრამ თუ საქართველო VLAP-ის ყველა ნიშნულს დანერგავს, ევროკავშირი გააუქმებს საქართველოსთან სავიზო რეჟიმს. ამგვარად, ერთადერთი რჩევა, რაც შემიძლია ქართველ კოლეგებს მივცე, არის ის, რომ გულმოდგინედ იმუშაონ VLAP-ის ნიშნულების განსახორციელებლად და ისინი სათანადოდ დაჯილდოვდებიან. ჩვენი მხრიდან, მოლდოვის სახელმწიფო სტრუქტურები მზად არიან გაუზიარონ გამოცდილება VLAP-ის შესახებ და გაუწიონ საჭირო კონსულტაცია.



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



ჩარჩოს შემდგომ გაძლიერებას (SMEs); (2) სტრუქტურების ფუნქციონირების გაუმჯობესებას, რომლებიც არეგულირებენ და ეხმარებიან ვაჭრობასა და კერძო სექტორს; (3) ეკონომიკური ფაქტორების და SMEs გაძლიერებას DCFTA-ის თანახმად ახალ მარეგულირებელ გარემოზე მორგებით; (4) დაბრუნებული მიგრანტების, ბიზნესში ჩართული ქალებისა და ახალგაზრდა მეწარმეების ეკონომიკურ ინტეგრაციას. ვიზიტის განმავლობაში ბ-ნი იოჰანეს ჰანი საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნი გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ მინისტრს, ბ-ნი ირაკლი ღარიბაშვილს, საქართველოს მთავრობის წევრებს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბ-ნი დავით უსუფაშვილს და ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა. კომისარი ჰანი თბილისში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სიტყვითაც გამოვიდა.

წყარო: http://ec.europa.eu/enlargement/news_corner/news/2015/01/20150115_en.htm

ევროკომისიის მეორე ანგარიში სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) განხორციელების თაობაზე

2014 წლის 29 ოქტომბერს ევროკომისიამ საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) განხორციელების შესახებ მეორე ანგარიში მიიღო. ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველო სავიზო დიალოგის პირველი ფაზის მოთხოვნებს ასრულებს და დაიწყო VLAP-ის მეორე ფაზა, სადაც კომისია კონკრეტული ნიშნულების განხორციელების დონეს შეამოწმებს. ევროკომისარმა საშინაო საკითხებში სესილია მალმსტრომმა აღნიშნა, რომ VLAP-ის პირველი ფაზის დასრულება „მნიშვნელოვანი მიღწევაა და განსაკუთრებული ნაბიჯია პროცესში, რომელიც საქართველოს დაახლოებს ევროკავშირთან უვიზო რეჟიმით სარგებლობასთან“.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მნიშვნელოვანი როლი, რომელიც საქართველოში მიგრაციის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურებს VLAP-ის განხორციელებაში ეხმარება. უფრო კონკრეტულად, პროექტმა ENIGMMA-მ შრომითი მიგრაციის, სავიზო პოლიტიკის, დიასპორის პოლიტიკის, მიგრანტების უფლებებისა და პირადი მონაცემების დაცვის სფეროებში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან ექსპერტების მოწვევის გზით დახმარება გაუწია საქართველოს მიგრაციის საკითხებზე ინსტიტუციონალური და სამართლებრივი ჩარჩოს შემდგომ განვითარებაში. მეტიც, ENIGMMA-ს ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი მიგრაციის სფეროში ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობის შესახებ საინფორმაციო კამპანიების გატარებისკენ არის მიმართული. ანგარიშში ნახსენებია მიგრაციის საკითხებზე საქართველოს სამთავრობო კომისიისადმი ICMPD-ის მხარდაჭერა „შემდგომი პროგრამული პერიოდის 2016-20 სტრატეგიის ჩამოყალიბებით“, რაც გადამწყვეტი იქნება VLAP-ის მეორე ფაზის ნიშნულების მისაღწევად.

წყარო: ევროპის კომისია და ICMPD
http://europa.eu/rapid/press-release_IP-14-1206_en.htm?locale=en

ევროკავშირი საქართველოსთვის 46 მილიონ ევროს გამოყოფს

ევროკომისიამ საქართველოს მაკრო-ფინანსური დახმარების სახით 46 მილიონი ევრო გამოუყო. ევროკომისარმა ეკონომიკის, ფინანსთა, გადასახადებისა და საბაჟო საკითხებში პიერ მოსკოვიცმა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს მოაწერა ხელი, რაც ითვალისწინებს 46 მილიონი ევროს მაკრო-ფინანსური დახმარების (MFA) პროგრამას საქართველოსთვის. დახმარება გრანტებსა და სესხებს შორის თანაბრად გადანაწილდება და 2015 წელს ორი თანაბარი ტრანშით გადაირიცხება.

წყარო: ევროკომისია
http://europa.eu/rapid/press-release_IP-14-2602_en.htm

ევროპარლამენტმა საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა

2014 წლის 18 დეკემბერს, ევროპარლამენტმა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა. ევროკავშირმა ასოცირების ხელშეკრულებას მოლდოვასთან, საქართველოსთან და უკრაინასთან 27 ივნისს მოაწერა ხელი. საქართველოს პარლამენტმა ხელშეკრულების რატიფიკაცია 18 ივლისს მოხდინა. ამ დროისათვის ასოცირების ხელშეკრულება რატიფიცირებულია ევროკავშირის თერთმეტი წევრი სახელმწიფოს მიერ: რუმინეთი, ბულგარეთი, ლიტვა, ლატვია, მალტა, სლოვაკეთი, ესტონეთი, უნგრეთი, შვედეთი, ხორვატია და დანია.

წყარო: საქართველოს პარლამენტი
<http://www.parliament.ge/en/media/axali-ambebi/the-european-parliament-ratified-the-eu-georgia-association-agreement.page>

საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროში არსებული სიახლეები

ცვლილებები უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ახალ კანონში

უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებები 2014 წლის ნოემბერში შევიდა. ცვლილებების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელები გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ბინადრობის ნებართვის და საიმიგრაციო ვიზის მოპოვების კუთხით შედგათებით ისარგებლებენ. გარდა ამისა, ცვლილებებით ვალისწინებს გრძელვადიანი ყოფნის სამართლებრივ საფუძველს იმ პირებისთვის, რომლებიც თანამემამულის სტატუსით სარგებლობენ და გამარტივებულ პროცედურებს საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის მონაწილეთათვის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გავლის შემთხვევაში.

მეტიც, თებერვალში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ელექტრონული ვიზის პორტალი ამოქმედდა, რომელიც ტურისტებს და ბიზნესის მიზნით ქვეყანაში ჩამოსულებს მოკლევადიანი ვიზის გამარტივებული წესით მიღების საშუალებას აძლევს და არ საჭიროებს გასაუბრებას ან ორიგინალი დოკუმენტების წარდგენას საელჩოში. ახალი გამარტივებული პროცედურა სამი ეტაპისაგან შედგება: მიმართვა, ელექტრონული გადახდის განხორციელება და გამზადებული ელექტრონული ვიზის ამობეჭდვა. ელექტრონული ვიზა მარტივად შეიძლება იქნას მიღებული ნებისმიერ ადგილას, სადაც ინტერნეტ კავშირია და მის მფლობელზე საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის იგივე უფლება ვრცელდება, რაც პასპორტში დატანილი ვიზის ბლანკის შემთხვევაში. თუმცა, მოქალაქეობის მიხედვით შესაძლებელია სხვადასხვა მოთხოვნები იყოს დაწესებული, ამგვარად სტუმრებს ეცნობებათ ამ მოთხოვნების შესახებ მას შემდეგ, რაც შეარჩევენ მოგზაურობის ქვეყნის დოკუმენტს და მგზავრობის თარიღებს. ელექტრონული ვიზის მფლობელებმა ყველა საჭირო დოკუმენტი საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩამოსვლისთანავე უნდა წარმოადგინონ.

წყარო: <https://www.evisa.gov.ge/GeoVisa/Home/AboutVisa>
და საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
<https://matsne.gov.ge/en/document/view/2583688>

ინტერვიუ მოლდოველ ექსპერტთან, ბ-ნი რადუ კუკოშთან

ნიდერლანდების სახელმწიფოში მოლდოვის საელჩოს მრჩეველი რადუ კუკოში მოლდოვასა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში აქტიურად იყო ჩართული. პროექტი ENIGMMA-ს ფარგლებში, იგი ასევე დახმარებას და კონსულტაციას უწევს საქართველოს სახელმწიფო



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



მიგრაციის საკითხებზე საინფორმაციო ბიულეტენი # 3

კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი

მკითხველს მიმართავს!



მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის პროექტ ENIGMMA-ს გუნდს პატივი აქვს წარმოგიდგინოთ მიგრაციის რიგით

მეოთხე საინფორმაციო ბიულეტენი. ჩვენი ბიულეტენების სერიების მიზანია, მკითხველს მიაწოდოს უახლესი ინფორმაცია საქართველოში მიგრაციის მართვისა და მიგრაციის სფეროში ევროკავშირისა და საქართველოს შორის ურთიერთობის სფეროში არსებული სიახლეების შესახებ. წინამდებარე ბიულეტენი აგრეთვე მოიცავს ENIGMMA-ს მიერ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებებისა და რეგიონში ICMPD-ის სხვა პროექტების ზოგად მიმოხილვას.

გთხოვთ, თქვენი შეხედულებები და კომენტარები, მათ შორის რჩევები ბიულეტენის დასახვეწად გამოგვიგზავნოთ ამ გამოცემის ბოლოს მითითებულ ელექტრონულ მისამართებზე.

პროექტ ENIGMMA-ს გუნდი მადლობას გიხდით ინტერესისათვის. იმედი გვაქვს, მოგეწონებათ წინამდებარე გამოცემა.

ICMPD ENIGMMA პროექტის გუნდი

ნომერში იხილავთ

სიახლეები:

- ინტერვიუ ბატონ დავით ბაქრაძესთან, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში
- ინტერვიუ ბატონ რადუ კუკოშთან, ექსპერტი მოლდოვადან

მიგრაციის საინფორმაციო ბიულეტენის მუდმივი რუბრიკები:

- ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები
- საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროში არსებული სიახლეები
- ICMPD-ის ძირითადი საქმიანობა საქართველოსა და რეგიონში
- ENIGMMA/ERGEM -ის მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები
- „ვინ ვინ არის?“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინტერვიუ ბატონ დავით ბაქრაძესთან, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში

ENIGMMA: საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ახლახანს მოაწერა ხელი, რაც საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის კუთხით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია. როგორ შეაფასებდით საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს?



ბ-ნი დავით ბაქრაძე: ბოლო წლებში ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. როგორც მოგეხსენებათ, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) კომპონენტის ჩათვლით, 27 ივნისს, ქ. ბრიუსელში მოეწერა ხელი. საქართველოს

პარლამენტმა უკვე მოახდინა ხელშეკრულების რატიფიცირება. რატიფიკაციის პროცესი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში კვლავაც მიმდინარეობს და ვიმედოვნებთ, რომ ეს პროცესი მალე დასრულდება. უნდა აღინიშნოს, რომ ასოცირების ხელშეკრულების დებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი, DCFTA-ის ჩათვლით, ძალაში 1 სექტემბერს შევიდა. 3 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ ასოცირების ხელშეკრულების ეროვნული სამოქმედო გეგმა დაამტკიცა 2014 წლისათვის და წარმატებით ასრულებს. აღნიშნულმა ჩაანაცვლა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა. ამ ეტაპზე, ჩამოყალიბებული გვაქვს ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების სამოქმედო გეგმა 2015 წლისათვის, რომელიც გაცილებით უფრო ყოვლისმომცველი დოკუმენტია და DCFTA-ის განხორციელებასაც მოიაზრებს. უნდა აღინიშნოს, რომ ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების პროცესის მონიტორინგის მიზნით შეიქმნა ასოცირების საბჭო, ასოცირების კომიტეტი, თემატური ქვე-კომიტეტები და ასოცირების საპარლამენტო კომიტეტი. ჩვენ უზრუნველყოფთ, რომ სამოქალაქო საზოგადოებაც ჩართული იყოს ასოცირების ხელშეკრულების ჩამოყალიბებისა და მისი განხორციელების პროცესის მონიტორინგში. ჩვენ ასევე წარმატებით ვახორციელებთ რეფორმებს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) ფარგლებში. პირველი - საკანონმდებლო ფაზა უკვე დასრულებულია და ჩვენ უკვე დავიწყეთ მეორე - იმპლემენტაციის ფაზა.

გაგრძელება 4-ე გვერდზე

ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები

ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკავშირის კომისრის ვიზიტი თბილისში

15-16 იანვარს საქართველოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკავშირის კომისარი ბატონი იოჰანეს ჰანი ეწვია. მისი მონაწილეობით ხელი მოეწერა ახალი პროგრამის დაფინანსების ხელშეკრულებას საქართველოს მიერ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ხელშეკრულების (DCFTA) განხორციელებისა და კერძო სექტორის განვითარების ხელშესაწყობად. ახალი სამ წლიანი პროგრამა, რომელიც დაფინანსების ხელშეკრულებით დაიწყო, 44.5 მილიონი ევროს გამოყოფას ითვალისწინებს და მოიცავს: (1) ვაჭრობის და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის პოლიტიკური



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



აქ წარმოდგენილი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირის მოსაზრებებს